ანი ბეზანტი
ANNIE BESANT

# კარმა
# KARMA

თარგმანი ინგლისური ენიდან
ეკუთვნის დიმიტრი უჩანეიშვილს

გამომცემლობა „აქტი“
თბილისი / 2023

გამოცემა აერთიანებს ავტორის სამ ტექსტს: „ელემენტარული გაკვეთილები კარმაში“, „კვლევები კარმაში“, „კარმა“. ტექსტი კითხვის დასაწყისშივე გვიქმნის წარმოდგენას კარმის არსის, წარმოშობისა და დანიშნულების შესახებ, დასასრულს კი უკვე გარკვეული ვართ მისი მართვის მეთოდებში და, ამგვარად, მიზანი, რომ წიგნში „ჩვეულებრივი მკითხველისთვის“ ყველაფერი მარტივი ენით იყოს გადმოცემული, მიღწეულია.

აღწერილია კარმის შექმნა, ფუნდამენტური პრინციპები, გაწყვეტის გზები და მეთოდები. გვასწავლის, როგორ გავიგოთ კარმის მუშაობის მექანიზმი და ვიმოქმედოთ მასში ჩვენს სასარგებლოდ.

წიგნი გვამოგზაურებს დროში, გვიჩვენებს წარსული ცხოვრების (კარმის) ზემოქმედებას აწმყოზე, იმ გარემოებასა და საზოგადოებაზე, რომელშიც ვიბადებით. გვასწავლის არაერთ ხერხს იმისათვის, რომ გამოვასწოროთ არასასურველი ვითარება და კარმული შედეგები ჩვენთვის სასარგებლოდ წარვმართოთ.

მთარგმნელი: დიმიტრი უჩანეიშვილი
კორექტორი: ლიზი ქოპილაშვილი
გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2023
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-5960-1

# სარჩევი


რედაქციისგან.....6
ელემენტარული გაკვეთილები კარმაში.....11
კვლევები კარმაში.....33
ფუნდამენტური პრინციპები.....35
ბუნების კანონები და ადამიანის.....36
მიერ შექმნილი კანონები.....36
კანონთა კანონი.....40
მარადიული ახლა.....40
მონაცვლეობა.....43
მიზეზობრიობა.....45
ბუნების კანონები.....47
კანონის გაკვეთილი.....51
კარმა არ ანადგურებს.....52
ამ კანონის გამოყენება.....54
ადამიანი სამ სამყაროში.....54
ჭეშმარიტების გაგება.....59
ადამიანი და მისი გარემო.....61
სამი ხვედრი.....63
სამეულთა წყვილი.....65
აზრი–მშენებელი.....66
პრაქტიკული მედიტაცია.....69
ნება და სურვილი.....70
სურვილის ოსტატობა.....71

კიდევ ორი მომენტი.......................................................72
მესამე ძაფი.....................................................................74
სრულყოფილი სამართლიანობა...........................................76
ჩვენი გარემო....................................................................78
ნაცნობები და ნათესავები..................................................79
ჩვენი ქვეყანა....................................................................81
სინათლე კარგი ადამიანისთვის..........................................82
კანონის ცოდნა..................................................................83
დაპირისპირებული სკოლები..............................................84
უფრო თანამედროვე თვალსაზრისი....................................86
თვითანალიზი...................................................................86
წარსულიდან....................................................................89
ძველი მეგობრები.............................................................91
განვითარება გაცემის გზით...............................................93
კოლექტიური კარმა..........................................................94
ოჯახის კარმა....................................................................95
ეროვნული კარმა..............................................................96
ინდოეთის კარმა...............................................................98
ეროვნული კატასტროფები................................................100
როგორ ირჩევს ეგო..........................................................102
ინგლისის კარმა...............................................................102
საფრანგეთის რევოლუცია.................................................103
კეთილშობილი ეროვნული იდეალი.....................................103
კარმა..................................................................................107
წინასიტყვაობა.................................................................107
შესავალი..........................................................................109
კანონის მუდმივობა..........................................................111
ბუნების სიბრტყეები.........................................................112
აზრ-ფორმების გენერირება...............................................117
აზრ-ფორმების აქტივობა...................................................121

კარმის შექმნა პრინციპში......................................................126
კარმის შექმნა დეტალურად....................................................136
კარმის მოქმედება.....................................................................148
კარმულ შედეგებთან შეჯახება..............................................160
მომავლის შექმნა.......................................................................164
კარმის ჩამოყალიბება...............................................................165
კარმის შეწყვეტა.........................................................................172
კოლექტიური კარმა.................................................................177
დასკვნა..........................................................................................184

გამომცემლობის მიერ გამოცემული წიგნები....................187

ანი ბეზანტი (1847-1933), „თეოსოფიური საზოგადოების“ მეორე პრეზიდენტი (1907-1933), ცნობილი იყო, როგორც „ბრილიანტის სული“, რადგან მისი ხასიათი მრავალ ბრწყინვალე წახნაგს შეიცავდა. ის იყო თავისი დროის გამოჩენილი ორატორი, ადამიანის თავისუფლებათა დამცველი, განმანათლებელი, ქველმოქმედი, სამასზე მეტი წიგნისა და ბროშურის ავტორი. იგი ასევე მთელ მსოფლიოში ათასობით კაცსა და ქალს სულიერების ძიებაში ხელმძღვანელობდა.

ინგლისში ყოფნის თავდაპირველ პერიოდში მან შესანიშნავი სამუშაო გაწია, როგორც თავისუფლად მოაზროვნემ და ფაბიანელმა სოციალისტმა. მხარს უჭერდა ბევრ კეთილშობილ საქმესა და წამოწყებას, მათ შორის, ქალთა უფლებებს. 1893 წლიდან იგი ინდოეთში ცხოვრობდა და დაუღალავად იღწვოდა ქვეყნის კულტურული და სულიერი აღორძინებისთვის. მან ჩამოაყალიბა მოძრაობა Home Rule და შთააგონა ინდოელები ინდოეთის მომავლის დინამიკური ხედვით.

ბეზანტის თეოსოფიური ნაშრომების უმეტესობა კარმის შესახებაა.

კარმის მთავარი კონცეფცია, რომ „ადამიანი რასაც დასთესს, იმას მოიმკის“, ადვილია გასაგებად, მაგრამ მისი დე-

ტალური გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში ისევე, როგორც მოქმედების მეთოდისა და შორსმიმავალი შედეგების გაცნობიერება, ის სირთულეებია, რომლებიც შემსწავლელის ცოდნის მატებასთან ერთად სულ უფრო მეტად დამაბნეველი ხდება. ის პრინციპები, რომლებსაც ნებისმიერი საბუნებისმეტყველო მეცნიერება ეფუძნება, უმეტესწილად ადვილად გასაგებია საშუალო ინტელექტისა და საბაზისო განათლების მქონე ადამიანებისთვის, მაგრამ, როდესაც შემსწავლელი პრინციპებიდან პრაქტიკაზე, მონახაზიდან კი დეტალებზე გადადის, სირთულეებს ეჩეხება და, თუ მას სრულყოფილად სურს საგნის დაუფლება, იძულებული ხდება, სპეციალისტად ჩამოყალიბდეს და ხანგრძლივი დრო დაუთმოს თავის წინაშე წარმოშობილი სირთულეების გადალახვას. ასეთივეა საქმის ვითარება კარმის მეცნიერებაშიც. შემსწავლელი გამუდმებით განზოგადებათა სფეროში ვერ დარჩება. მან უნდა ისწავლოს ძირითადი კანონის შემადგენელნი და მათი გამოყენება ყველა ცხოვრებისეულ ვითარებაში. მათი გამოყენება უნდა ისწავლოს, გააცნობიეროს, თუ რამდენად სავალდებულოა ისინი და როგორ ხდება თავისუფლება შესაძლებელი. მან კარმაში ბუნების უნივერსალური კანონის დანახვა უნდა შეძლოს და ასევე შეითვისოს ის, რომ ბუნების დამორჩილება და მართვა მხოლოდ მორჩილებითაა შესაძლებელი.

ელემენტარული
გაკვეთილები კარმაში

მცირე რაოდენობის შეკითხვები შესაძლოა მოსწავლეს უფრო დიდ თავსატეხს უჩენდეს, ვიდრე კარმის შესახებ შეკითხვები, იმის მიუხედავად, ახალგაზრდაა ის თუ ასაკოვანი. რას ნიშნავს ეს? როდის დაიწყო? რამდენად გვზღუდავს ის ჩვენ? ჩვენ მისი ბატონები ვართ თუ მონები? მორჩილად უნდა ჩამოვუშვათ ხელების მის წინაშე თუ ენერგიულად ვებრძოლოთ? თუ დღევანდელი დღე დასაბამს გუშინდელი დღიდან იღებს, ხოლო გუშინდელი – გუშინწინდელიდან და ა.შ., სულ უფრო უკან და უკან, როგორ შეიძლება, რომ ცუდი ადამიანი ოდესმე კარგი გახდეს? რკინისებრი აუცილებლობით ხომ არ ვართ იძულებულნი, „უგონო და მართული პირუტყვი" ხომ არ ვართ, რომელიც ვერასოდეს ვერ იქცევა გმირად იმის მიუხედავად, თუ რას ამბობენ პოეტები?

ჩვენ შეგვიძლია სასარგებლოდ დავხარჯოთ მცირედი დრო ამ და მსგავს შეკითხვებზე მსჯელობაში, რადგან აქ ისევე, როგორც ყველგან, „მცირე ცოდნა სახიფათო რამაა". ძალიან ხშირად კარმა მახინჯი ბორკილია იმის ნაცვლად, რომ, როგორც ეს მას მართებს, ძალა, მეგზური და ძალმოსილება იყოს, რომელიც გონივრულად და სათანადოდ მოქმედების საშუალებას მოგვცემდა. ბუნების სხვა კანონების მსგავსად ის ბორკილს ადებს უმეცარს და ძალებს ანიჭებს მცოდნეს.

# კვლევები კარმაში

It knows not wrath nor pardon; utter true
Its measures mete, its faultless balance weighs;
Times are as nought, tomorrow it will judge,
Or after many days.
By this the slayer’s knife did stab himself;
The unjust judge hath lost his own defender;
The false tongue dooms its lie; the creeping thief
And spoiler rob, to render.
Such is the Law which moves to righteousness,
Which none at last can turn aside or stay;
The heart of it is Love, the end of it
Is Peace and Consummation sweet.

Obey![1]

---

1. მან არც რისხვა იცის და არც შეწყალება; სიმართლეა სრული/მისი ზომები თანასწორია, მისი სასწორი უშეცდომოდ წონის/დრო არარაობაა, ის ხვალ განსჯის/ან მრავალი დღის შემდეგ./მკვლელის დანამ საკუთარი თავი განგმირა/უსამართლო მსაჯულმა თავისი დამცველი დაკარგა,/ცრუ ენა ტყუილისთვისაა განწირული; ფრთხილი ქურდი და მძარცველი ნებდებიან./ასეთია მართალთა კანონი,/რომელსაც ვერავინ აუვლის გვერდს./მისი გული სიყვარულია, მისი დასასრული კი/მშვიდობა და სრულყოფილება ტკბილი. დაემორჩილე! – Sir Edwin Arnold, The Light of Asia.

კარმა

# წინასიტყვაობა

რამდენიმე სიტყვაა საჭირო ამ მცირე წიგნის სამყაროში გასამგზავრებლად. ესაა მეოთხე სახელმძღვანელო სერიიდან, რომელიც თეოსოფიური მოძღვრების მარტივი განმარტების საზოგადოებრივი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად არის განკუთვნილი. არსებობს პრეტენზიები იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენი ლიტერატურა თავდაპირველად რთულად გასაგები, მეტისმეტად ტექნიკური და ძვირია ჩვეულებრივი მკითხველისთვის, ჩვენ კი ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე სერია შეძლებს რეალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. თეოსოფია მხოლოდ განსწავლულებისთვის არ არის განკუთვნილი, ის ყველასთვისაა. შესაძლოა, მათ შორის, ვინც ამ მცირე წიგნში თეოსოფიური მოძღვრების გაელვებას მოჰკრავს თვალს, იყოს რამდენიმე, ვინც მის ფილოსოფიაში, მეცნიერებასა და რელიგიაში უფრო ღრმად წვდომას ისურვებს და ის ყველაზე რთულად გასაგებ პრობლემებს მეცნიერის გულმოდგინებითა და ახლად მოქცეულის გზნებით შეხვდება. ეს სახელმძღვანელოები იმ მოწადინებული მეცნიერისთვის კი არ არის შექმნილი, რომელსაც ვერანაირი საწყისი სირთულე ვერ აფრთხობს, არამედ ამქვეყნიური და ყოველდღიური საქმიანობით დაკავებული ქალებისა და მამაკაცებისთვის და მოწოდებულია, ის დიადი ჭეშმარიტებები განმარტოს, რომლებიც ცხოვრებასა და სიკვდილთან შეხვე-

# შესავალი

ადამიანის ყველა აზრი განვითარების შემდეგ შინაგან სამყაროში გადადის და, როგორც ჩვენ მას ვუწოდებთ, ელემენტალთან ანუ სამეფოს ერთ-ერთ ნახევრად გონიერ ძალასთან, გაერთიანებითა და შერწყმით აქტიურ არსად იქცევა. ის განაგრძობს არსებობას, როგორც აქტიური ინტელექტი – გონების მიერ გაჩენილი ქმნილება, რომელიც ხანგრძლივი თუ ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში იმ ცერებრალური აქტივობის თავდაპირველი ინტენსივობის პროპორციულია, რომელმაც იგი წარმოშვა. ამგვარად, კეთილი აზრი უკვდავყოფილია, როგორც აქტიური, კეთილისმყოფელი ძალა, ხოლო ბოროტი – როგორც მავნებელი დემონი. ამდენად, ადამიანი გამუდმებით ასახლებს თავის ნაკადს სივრცეში საკუთარი სამყაროთი, რომელიც მისი ფანტაზიების, სურვილების, იმპულსებისა და ვნებების შთამომავლებითაა სავსე, ნაკადს, რომელიც იმ ნებისმიერ გრძნობიერ ან ნერვულ ორგანიზაციაზე მოქმედებს, *რომელიც მასთან კონტაქტს ამყარებს მისი დინამიკური ინტენსივობის პროპორციულად.* ბუდისტები მას „სკანდჰას“ უწოდებენ, ინდუსი კი „კარმის“ სახელს აძლევს. დახელოვნებული ადამიანი ცნობიერად ავითარებს ამ ფორმებს, სხვა ადამიანები არაცნობიერად იშორებენ მათ.[1]

1. The Occult World, გვ. 89-90, მეოთხე გამოცემა.

## კანონის მუდმივობა

ის, რომ ჩვენ კანონების საბრძანებელში ვიმყოფებით და ისეთი კანონებით ვართ გარემოცული, რომლებსაც ვერ დავარღვევთ, ეს ტრუიზმია. ამის მიუხედავად, როდესაც ამ ფაქტს რეალური და ცხოვრებისეული გზით ვაცნობიერებთ და როდესაც ის განიხილება, როგორც მენტალური და მორალური ისევე, როგორც ფიზიკური სამყაროს ფაქტი, შესაძლოა, უმწეობის გარკვეულმა გრძნობამ დაგვძლიოს, თითქოს რაღაც მძლავრი ძალის მარწუხებში ვიმყოფებოდეთ, რომელსაც შევუპყრივართ და საითაც სურს, იქით მიგვაქანებს. სინამდვილეში საქმის ვითარება ამის საპირისპიროა, რადგან მძლავრი ძალა, როდესაც ის გაგებულია, მორჩილად წაგვიყვანს იქით, საითაც ჩვენ ვისურვებთ: ბუნების ყველა ძალა მათი გაგების პროპორციულად უნდა იქნეს გამოყენებული – „ბუნების დაპყრობა მორჩილებით ხდება“ – მისი დაუძლეველი ენერგია კი მყისვე ჩვენს განკარგულებაში აღმოჩნდება, როგორც კი ჩვენ ცოდნის საფუძველზე მასთან ერთად და არა მის წინააღმდეგ ვიმუშავებთ. მისი უსაზღვრო მარაგებიდან ჩვენ შეგვიძლია ის ძალები ამოვირჩიოთ, რომლებიც ჩვენს მიზნებს ბიძგისა და მიმართულების და ა.შ. მიხედვით ემსახურება და სწორედ მათი მუდმივობა წარმოადგენს ჩვენი წარმატების გარანტიას.

კანონის მუდმივობაზეა დამოკიდებული სამეცნიერო ექსპერიმენტის უსაფრთხოება და შედეგების დაგეგმვისა და მომავლის წინასწარმეტყველების მთელი უნარი. ამავეს ემ-

## გამომცემლობის მიერ გამოცემული წიგნები

### ფრიდრიხ ნიცშე –

1. ანტიქრისტე
2. სიკეთისა და ბოროტების მიღმა
3. ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
4. კერპების მწუხრი, ანუ როგორ ფილოსოფოსობენ ჩაქუჩით

### მერაბ მამარდაშვილი –

1. კარტეზიანული განაზრებანი
2. ცნობიერება და ცივილიზაცია
3. ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში
4. რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები

### სიორენ კირკეგორი –

1. შიში და თრთოლვა
2. სატანჯველის სახარება
3. ან/ან: ნაწყვეტი ცხოვრებიდან

### ზიგმუნდ ფროიდი –

1. ეგო და Id
2. მოსე და მონოთეიზმი
3. ფსიქოანალიზის შესავალი
4. უკმაყოფილება კულტურით
5. მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
6. სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
7. ყოველდღიური ცხოვრების ფსიქოპათოლოგია

ლევ შესტოვი —

1. შემეცნების ფილოსოფია და თეორია
2. შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო

სვამი ვივეკანანდა —

1. კარმა-იოგა
2. ბჰაქთი-იოგა
3. შთაგონებული საუბრები
4. პატანჯალის იოგა სუტრა
5. ძველი ინდური ფილოსოფია
6. მედიტაცია და მისი მეთოდები

კარლ იასპერსი —

1. ნიცშე და ქრისტიანობა
2. ფილოსოფიის შესავალი

ბერტრან რასელი —

1. ესეები
2. ქორწინება და მორალი

ერიხ ფრომი —

1. ადამიანის სული

მიგელ დე უნამუნო —

1. ქრისტიანობის აგონია

იმანუელ კანტი —

1. მარადიული მშვიდობისკენ

ედმუნდ ჰუსერლი —

1. ამსტერდამული მოხსენებები

ხოსე ორტეგა-ი-გასეტი —

1. ეტიუდები სიყვარულზე

ნიკოლაი ბერდიაევი —

1. ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი

გუსტავ ლე ბონი —

1. მასების ფსიქოლოგია
2. ერების ფსიქოლოგია

ჯიდუ კრიშნამურტი —

1. მედიტაცია
2. თავისუფლება ცნობილისგან
3. სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა
4. პირველი და უკანასკნელი თავისუფლება

ოშო —

1. ცნობიერების მზე
2. საწყისთა საწყისი
3. სიყვარულის ძალა
4. რა არის მედიტაცია?
5. სექსიდან სუპერცნობიერებამდე

ალექსანდრე ბერკმანი —

1. ანარქიზმის ანბანი

ემა გოლდმანი —

1. ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი

დ. ჰ. ლოურენსი —

1. ფანტაზია არაცნობიერის თემაზე
2. ფსიქოანალიზი და არაცნობიერი

ᲘᲣᲚᲘᲣᲡ ᲔᲕᲝᲚᲐ –

1. ომის მეტაფიზიკა
2. ვეფხვის მორჯულება

ᲛᲐᲰᲐᲗᲛᲐ ᲒᲐᲜᲓᲘ –

1. გზა ღმერთისაკენ

ᲯᲝᲠᲯ ᲑᲔᲠᲙᲚᲘ –

1. ტრაქტატი ადამიანური შემეცნების პრინციპების შესახებ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲣᲠᲯᲘᲔᲕᲘ –

1. გრძნეულთა ბრძოლა
2. დანახული რეალური სამყაროდან
3. შეხვედრები შესანიშნავ ადამიანებთან
4. ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის
5. ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“

ᲜᲝᲜᲐ ᲮᲘᲓᲔᲨᲔᲚᲘ –

1. Carpe diem
2. მეტამორფოზა

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘ –

1. სპინოზას ფილოსოფია

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲑᲠᲐᲭᲣᲚᲘ –

1. ზეკაცის ჰერმენევტიკა

ᲟᲐᲜ-ᲞᲝᲚ ᲡᲐᲠᲢᲠᲘ –

1. ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია

ᲯᲝᲜ ᲡᲢᲘᲣᲐᲠᲢ ᲛᲘᲚᲘ –

1. სოციალიზმი
2. თავისუფლების შესახებ
3. ქალთა დაქვემდებარება

გაბრიელ მარსელი —

1. იყო და ფლობდე

დევიდ ჰიუმი —

1. რელიგიის ბუნებრივი ისტორია

ლუდვიგ ბინსვანგერი —

1. ეგზისტენციალური ანალიზი

არმინ ნავაბი —

1. რატომ არ არსებობს არავითარი ღმერთი

ანი ბეზანტი —

1. კარმა
2. თეოსოფია
3. ეზოტერული ქრისტიანობა თუ მცირე მისტერიები